პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР — Серп и молот — Пролетарии всех стран, соединяйтесь!

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 250 (18492) კვირა, 31 ოქტომბერი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს საუბარი საქართველოს სსრ ხელმძღვანელებთან

29 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო ესაუბრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროების წევრებს, რესპუბლიკის ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს.

შეეხო რა პარტიის XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოძღვანო პლენუმების გადაწყვეტილებათა, 1981 წლის მაისში თბილისში გმართულ ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ დასახულ ამოცანათა შესრულების მიმდინარეობას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა:

— დღესასწაულები მუდამ აგვირგვინებენ დიდ მუშაობას, მუშაობა კი ჩვენი დიდი მოგლენების ბუნებრივი განგრძობაა, ახლადდელ ზეიმშიც ჩაქსოვილია თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შესასრულებლად საქართველოს მთელმა კომპარტიის მრავალი წლის შეუპოვარი შრომა.

გაიცინო რა ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში რესპუბლიკის განვითარების შედეგები, ე. ა. შევარდნაძემ განაცხადა, რომ 1972 წელთან შედარებით საქართველოს სსრ ეროვნული შემოსავალი და ეროვნული საზოგადოებრივი პროდუქტი დაახლოებით ერთნაირად გაიზარდა. გაორკეცდა სამრეწველო წარმოების მოცულობაც. ერთნახევარჯერ და მეტად გაიზარდა სოფლის მეურნეობის საშალო-წლიური მთლიანი პროდუქტიც, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის მოცულობა თითქმის ერთნირად გადიდდა. ასეთივე ტენდენცია შეიმჩნევა კაპიტალური დაბანდების ათვისების დარგში.

მტკიცედ ვითარდებოდნენ რესპუბლიკის ავტონომიური ერთეულები.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო საქართველოს სს რესპუბლიკის საერთო-ეკონომიკური პოტენციალის მნიშვნელოვან განმტკიცებას, მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ მიღწევათა ბაზაზე მისი სახალხო მეურნეობის შემდგომი სტაბილური განვითარების საიმედო საფუძვლის შექმნას.

განაგრძო რა საუბარი იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია თანმიმდევრულად ცდილობს კიდევ უფრო ამაღლოს მეურნეობრიობის დონე, გაიუმჯობესოს საწარმოო რეზერვების გამოყენება, სრულყოს ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობა, ე. ა. შევარდნაძემ თქვა:

— მიუხედავად უდიდესი სიძნელეებისა, რომლებიც წარმოიშვა დასავლეთ საქართველოში წყალდიდობასთან, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში უმაგალითო სეტყვასთან დაკავშირებით, მთლიანად სამეურნეო წელი ჯერჯერობით წარმატებით მიმდინარეობს.

მოყვანილი იყო შესაბამისი მონაცემები, დასახელებულ იქნა პირობები და ფაქტორები, რომლებსაც შეუძლიათ დამატებითი მასტიმულირებელი გავლენა მოახდინონ მეთერმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საქმის ვითარებაზე.

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის ინფორმაციაში დიდი ყურადღებ დაეთმო ავარიულ-სამაშველო კომპლექსის განვითარებას, სასურსათო პროგრამის რეალიზაციას, სოფლის მეურნეობის პროდუქტების საკავშირო ფონდში გაგზავნას.

როცა შეეხო რესპუბლიკაში მიმდინარე სამეურნეო ღონისძიებებს, დაწვრილებით დაახასიათა თითოეული მათგანი, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა, რომ ყველა ამ ძიების მიზანი ძირითადად ის არის, რომ უკეთ შეახამონ ტერიტორიული და დარგობრივი დაგეგმვა და მართვა.

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე რესპუბლიკაში დაგროვილი გამოცდილების საგანძურია ფასდაუდებელი შენაძენი ინტერნაციონალური აღზრდის სფეროში. როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, ეს გამოცდილება კიდევ ერთხელ დამაჯერებლად მოწმობს, რომ სწორია ჩვენი პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკა. ამ მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი რესპუბლიკაში მჭიდროდ არის დაკავშირებული კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, ემსახურება ხალხთა მეგობრობისა და ძმობის აყვავებასა და განმტკიცებას.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ილაპარაკა იმაზე, თუ რა პრობლემები წარმოიქმნება რესპუბლიკის ცხოვრებაში, რომელთა გადაწყვეტაზე ბევრად არის დამოკიდებული ხუთწლედისა და საქართველოს სს რესპუბლიკის შემდგომი სოციალურ ეკონომიკური განვითარების ბედი.

რესპუბლიკის ყველა კომუნისტი, ყველა მშრომელის სახელით მან აღთქვა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მის მეთაურს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, რომ საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელი პირნათლად გაართმევენ თავს რესპუბლიკის წინაშე დასახული რთული ამოცანების გადაწყვეტას და კიდევ ბევრჯერ გაახარებენ ქვეყანას ახალი შრომითი გამარჯვებებით.

— საქართველოს სსრ პარტიულ ორგანიზაციაში, — თქვა ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ, — უკანასკნელი წლების მანძილზე მოხდა დიდი ძვრები, იგი პრინციპულად ახლებურად მუშაობს მასებში, მიაღწია მას შემოქმედებითი ხასიათი. გამოხახულია კარგი გასაღები, კარი მიდგომა რესპუბლიკასადმი ხელმძღვანელობის სისტემაში. ეყრდნობიან რა შემოქმედებითს საწყისს, აქ ქეკაუთხედად მიიჩნევენ მაგალითით დარწმუნებას, აჩვენებენ, თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს საუკეთესო შედეგების მიღწევისათვის. დიდი ყურადღება ეთმობა დასახული ამოცანების შესრულების ორგანიზაციულ-პოლიტიკურ უზრუნველყოფას, ხელმძღვანელი კადრებისადმი მომთხოვნელობის ამაღლებას, იდეოლოგიური მუშაობის აქტიურ გარდაქმნას.

ყოველივე ამან, თქვა ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ, განსაზღვრა საკმო წარმატებანი საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარებაში. უკანასკნელი წლების მანძილზე მან მნიშვნელოვნად გაზარდა ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპი. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდა, შრომის ნაყოფიერების დონე გასულ და მიმდინარე ხუთწლედებში საგგიმო დაგალებებზე მაღალია. კარგია, რომ საქართველოში ყურადღებით შეისწავლეს, თუ როგორ მოუარონ მიწას თანამედროვე პირობებში, როგორ შეახამონ მისი გამოყენება სასურსათო პროგრამის შესრულებასთან.

— ამავე დროს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არის ბევრი გამოუყენებელი რეზერვი და ამიტომ გასაკეთებელიც ბევრი გაქვთ, — თქვა ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ. — სავსებით სწორი არიან ამხანაგები, რომლებიც იმიწმენენ ლენინის ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ ყოველი იუბილე ხელს უნდა უწყობდეს საქმის წარმატებას, პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას. ამ მხრივ ახლანდელ ზეიმსაც შეიძლება და კიდევაც უნდა მოგვეცეს საქმიანი უკუგება, ხელი შეუწყოს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

გაანალიზა რა რესპუბლიკის წინაშე მდგომი პრობლემები, ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ თქვა, რომ ისინი რთულია, მაგრამ მათი გადაწყვეტა შეუძლია რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას, რომელმაც გარკვეული გამოცდილება შეიძინა შესანიშნავი მიზნებისაკენ მიმავალი სწორი გზების გამოძებნაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით აღინიშნა, რომ საჭიროა უფრო ბეჯითი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციათვის, საწყაროთა და დაწესებულებათა დამსმარე მეურნეობების დაჩქარებული განვითარებისათვის, სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში რესპუბლიკის წვლილის გადიდებისათვის.

ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ მოიწონა საქართველოს სს რესპუბლიკის პრაქტიკაში დამკვიდრებული საშუალო კომისიების—საზოგადოებრივი წარმოების მართვაში მასების ჩაბმის ეფექტიანი ფორმის შექმნა და. მთავარი ყურადღება დაეთმო თანამედროვე პარტიულ და საბჭოთა მშენებლობაში მუშაობის ლენინური სტილის ათვისებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საქმიანობის, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოღვაწეობის კონკრეტული მაგალითებით მან ცხადყო, რომ ფართო და მრავალმხრივი კაცობრივი ადამიანებთან, შეცნიერულ მეთოდზე დაყრდნობა, კომპეტენტურობა ხელს უწყობს უდიდესი და რთული საკითხების გადაწყვეტას.

ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ ხაზი გაუსვა, რომ პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში მთავარი და გამმსაზღვრელი სტეკვისა და საქმის, გადაწყვეტილებისა და შესრულების ერთიანობა. მან გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს კომუნისტები ამ მშრომელები ახალი მიღწევებით შეხვდებიან სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს.

(საქინფორმი).

სურათზე: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის დროს. მუზეუმის დათვალიერების ა. რუხაძისა და ხ. ედიშერაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ხალხთა მეგობრობის მუზეუმში

საბჭოთის მომმე რესპუბლიკების ურდევი კავშირის, სსრ კავშირის ერებისა და ეროვნებების განუყოფელი მეგობრობის, თანამშრომლობისა და ძმური დახმარების გამოხატულებაა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ექსპოზიციები. თავისი არსებობის წლების მანძილზე იგი გახდა იდეოლოგიური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცენტრი ვ. ი. ლენინის ნაანდერძევი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიდი იდეების შესწავლა-პროპაგანდისა, ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების განუყოფელ ერთობად მათი ხორცშესხმისა.

30 ოქტომბერს მუზეუმი დათვალიერა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. უ. ჩერნენკომ. მასთან ერთად იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, დ. ლ. ქორველაშვილი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ვ. ა. კონდრატიევი, საქართველოს სსრ უმაღლესი სამართლის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. მ. სირაძე, რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო გაეცნო ექსპოზიციებს, რომლებიც ასახავენ საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობასა და ძმობას დიდი სამამულო ომის წლებში, ათეთასობით ქართველი მამულიშვილის მონაწილეობას გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებად სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, გვიამბობენ იმათ შესახებ, ვინც გამარჯვებას სჯიდდა ზურგში, ვინც ყოველნაირად ეხმარებოდა ფრონტს.

მუზეუმში ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქემ, უკრაინის მწერალ-ყველზე დაჯილდოებულ საბჭოთა კავშირის გმირს ვ. ჩიქოვანის დედამ — შ. კ. ჩიქოვანმა ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სთხოვა გადასცეს ლენინდი ილიას ძე ბრეჟნევს ყველა ქართველი დედის გულითადი მადლობა დაუცხრომელი, ჭეშმარიტად ტიტანური შრომისათვის, [illegible] თვალდან ავადმყოფობა ახალი ომი დამამკვიდრა [illegible] ლიონი.

ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო შეხვდა მუზეუმის მუშაკებს, ესაუბრა დიდი სამამულო ომის მონაწილეებს, გმირ პარტიზანებს.

ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ მაღალი შეფასება მისცა მუშაობას, რომელსაც მუზეუმი ეწევა მშრომელებს, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის აღსაზრდელად სახელოვანი რევოლუციური და საბრძოლო ტრადიციების სულისკვეთებით, და სასტიკი დამთვალიერებლთა წიგნში ასეთი ჩანაწერი დატოვა:

„დიდი მადლობელნი გავეცანი ხალხთა მეგობრობის შესანიშნავ მუზეუმს. დიდ სამეს შეამჩნიეთ, ამხანაგებო. ეს მუზეუმი ყველა თაობის აღზრდის შესანიშნავი ადგილია, რომელის კაცს არასდროს დაიფარება ბალახით.

დიდ მადლობას მოვახსენებ მუზეუმის ყველა მუშაკს, ინოუნიასტებსა და ვეტერანებს.

ა. ჩერნენკო.

30. 10. 82 წ.

თბილისობა: ალალია ქამი ნეტარებისა

ეს დღესასწაული სულ ოთხი წელისაა, მაგრამ უკვე აქვს თავისი ისტორია, „უკვე აქვს თავისი ტრადიციები, რომელთაგან ერთერთია ყოველი თბილისობის გაუუმეორებლობა, ნაირფეროვნება ნიმნებისა, აკი რომ ვანასხვავებენ წინა ზეიმისაგან.

ასეთი გახდა 1982 წლის 30 ოქტომბრის თბილისობაც. ასეთი გახდა წინადღის მოვლენის — თბილისისათვის ლენინის ორდენის გადაცემის მეოხებით. თავისთავად, განუმეორებელი, ამ სიტყვის სრული გაგებით — ისტორიული გახდა იგი ამ ჯილდოს წყალობით. როგორც სადღესასწაულოდ გამოცემულ წიგნაკშია ნათქვამი, „მეოთხედ ეგებება თბილისი თავის დღესასწაულს და პირველად — თავის დროშაზე მოკიაფე ლენინის ორდენით“.

უბადლო ელფერი მიანიჭა „თბილისობას“ სახელოვან სტუმართა მონაწილეობამ. დღესასწაულზე იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო. მასთან ერთად იზეიმეოდნენ თბილისელი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი, გენერალ-მაიორი ბ. ე. სერგეტიერინი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი ვ. კ. კირილოვკა, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ა. ი. შირინკინი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრები და მოწვეულნი, ეროვნული სამეურნეოების ხელმძღვანელები, წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

გამცილებელთა შორის იყვნენ თბილისის ზეიმის მონაწილე დელეგაციათა მეთაურები: აზერბაიჯანის კომპარტიის ბაკოს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ა. ჰუსეინოვი, სომხეთის კომპარტიის ერევნის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ნ. ნერსისიანი, სკკპ სევრდლოვსკის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მ. მანიუხინი.

აეროპორტში შეკრებილი თბილისის მცხოვრებნი, რესპუბლიკის წარჩინებული ადამიანები, საბრეზველო საწარმოებისა და მშენებლობების მშრომელთა წარმომადგენლები, მხედართმთავრები, მოსწავლე ახალგაზრდობა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს.

(საქინფორმი).

სურათზე: აეროპორტში გაცილების დროს.

ო. თუჩქიას ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო თბილისიდან გაემგზავრა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო 30 ოქტომბერს თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა. იგი მონაწილეობდა საქართველოს დედაქალაქისათვის ლენინის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილ ზეიმში.

აეროდრომზე ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გასაცილებლად მოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯ. ნ. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტომაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭიკოვანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ი. ნ. ორჯონიკიძე, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ვ. ა. კონდრატიევი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ი. ვადაჯკორია, ო. გ. მენთეშაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტომაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭიკოვანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ი. ნ. ორჯონიკიძე, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ვ. ა. კონდრატიევი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ი. ვადაჯკორია, ო. გ. ვარძელაშვილი და ი. ი. ქედიშვილი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი, გენერალ-მაიორი ბ. ე. სერგეტიერინი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი ვ. კ. კირილოვკა, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ა. ი. შირინკინი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრები და ხელმძღვანელები, წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

(საქინფორმი).

სურათზე: ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო ესაუბრება ჟურნალისტებს.

საუბარი კრემლში

29 ოქტომბერს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ტიხონოვისა და კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტის ს. კიპრიანუს შეხვედრა.

მეგობრული საუბრის დროს ნ. ა. ტიხონოვმა და ს. კიპრიანუმ აღნიშნეს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსკოვში გამართულ უმაღლესი დონის მოლაპარაკებას იმ საქმეში, რომ გაღვიძარდეს და გაღრმავდეს საბჭოთა კავშირისა და კვიპროსის რესპუბლიკის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა მეგობრობის ტრადიციული სულისკვეთებით, ორი ქვეყნის ხალხთა, ევროპის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებისათვის.

საბჭოთა კავშირ-კვიპროსის თანამშრომლობა კონსტრუქციული ხასიათის ატარებს, იგი ალმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის რაიონში ვითარების სტაბილიზაციის ფაქტორია და ხელს უწყობს კვიპროსის პრობლემის მოწესრიგებას.

ს. კიპრიანუმ დადებითად შეაფასა საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული მეცდინეობა საერთაშორისო ასპარეზზე და გამოთქვა რწმენა, რომ ორი ქვეყნის თანამშრომლობა კვლავაც ნაყოფიერად განვითარდება.

განიხილეს სხვადასხვა დარგში საბჭოთა კავშირ-კვიპროსის ორმხრივი ურთიერთობის მდგომარეობა და პერსპექტივები, კერძოდ, იმსჯელეს თანამშრომლობის სამართლებრივი ბაზის გაფართოების საკითხებზე.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ორი ქვეყნის საგაჭრო-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის გაფართოებას. აღინიშნა, რომ არის იმ ურთიერთობის შემდგომი ნაყოფიერი განვითარების ხელშემწყობი შესაძლებლობანი.

საუბარში მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ —სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ფ. მალცევი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე ნ. დ. კომაროვი, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. გ. მოროზოვი, სსრ კავშირის ელჩი კვიპროსის რესპუბლიკაში ს. ტ. ‘ასტაკინი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე ვ. ფ. გრუბიაკოვი;

კვიპროსის მხრივ — კვიპროსის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ნ. როლანდისი, კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტთან მყოფი მინისტრი კ. მიხაილიდისი, კვიპროსის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ა. ანგელიდესი, კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოლიტიკური კანცელარიის დირექტორი ხ. ვოვიდისი, კვიპროსის რადიომაუწყებლობის კორპორაციის გენერალური დირექტორი ა. ჭრისტოფოდისი, კვიპროსის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორი ე. იპსარიდისი. (საკდესი).

ვიზიტი გრძელდება

29 ოქტომბერს მოსკოვიდან რიგას გაემგზავრა კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტი სპიროს კიპრიანუ. იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა თავრობის მოწვევით 28 ოქტომბერს ჩვენს ქვეყანაში სამუშაო ვიზიტად ჩამოვიდა კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტი სპიროს კიპრიანუ.

ს. კიპრიანუ კვიპროსის რესპუბლიკის ცნობილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეა. დაიბადა 1932 წლის 28 ოქტომბერს. ეკონომიკური და იურიდიული განათლება ინგლისში მიიღო.

50-იან წლებში მონაწილეობდა თვითგამორკვევისათვის კვიპროსელი ხალხის ბრძოლაში, მას სდევნიდნენ ბრიტანეთის კოლონიური ხელისუფალნი, რამდენიმე წელი ემიგრაციაში გაატარა. მონაწილეობდა კვიპროსისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ მოლაპარაკებაში.

1960 წელს კვიპროსის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაინშნა საგარეო საქმეთა მინისტრად და ამ პოსტზე იმყოფებდა 1972 წლამდე. იმავეწლიან საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ორჯერ იყო საბჭოთა კავშირში (1964 და 1971 წწ). მრავალგზის იყო კვიპროსის წარმომადგენელი საერთაშორისო კონფერენციებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სესიებზე.

1976 წლის მაისში დაიარსა დემოკრატიული პარტია, რომელმაც იმავე წლის სექტემბრის არჩევნებზე ადგილების უმრავლესობა მიიღო წარმომადგენელთა პალატაში (პარლამენტი). ს. კიპრიანუმ დაიკავა პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი.

1977 წლის აგვისტოში ს. კიპრიანუ აირჩიეს, ხოლო 1978 წლის თებერვალში ხელახლა აირჩიეს კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე.

კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობა, რომელსაც ს. კიპრიანუ მეთაურობს, მხარს უჭერს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას, დაძაბულობის შენელებასა და სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა თანამშრომლობას, აქტიურად მონაწილეობს მიუმხრობლობის მოძრაობაში.

საბჭოთა ადამიანები მიესალმებიან კვიპროსის სახელმწიფოს მეთაურის ჩამოსვლას ჩვენს ქვეყანაში და გამოთქვამენ რწმენას, რომ მისი ვიზიტი ხელს შეუწყობს ჩვენი სახელმწიფოებისა და ხალხების ინტერესებისათვის, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებისათვის სსრ კავშირისა და კვიპროსის რესპუბლიკის ტრადიციული მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განვითარებისა და გაღრმავების.

სსკპ-ოთა კავშირში ვიზიტის გამო

კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტი სპიროს კიპრიანუ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა კავშირის თავრობის მოწვევით 28 ოქტომბერს ჩვენს ქვეყანაში სამუშაო ვიზიტად ჩამოვიდა კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტი სპიროს კიპრიანუ.

ამ ფოტოზე: ს. კიპრიანუ ეესალმება ბ. ბ. ბ.

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა

თბილისისათვის ლენინის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე 1982 წლის 29 ოქტომბერს

საბჭოთა თბილისი

ძვირფასო ამხანაგებო!

მეგობრებო!

დიდად პატივცემული კონსტანტინე უსტინის ძეო!

თბილისის ისტორიაში სამუდამოდ შევა დღეკანდელი დღე. დღე, როცა მას გადაეცა სამშობლოს უწმინდესი ჯილდო — ლენინის ორდენი. დღეს თბილისს დაუდგა ჟამი ნეტარებისა. იგი ასხივოსნებს მის ასწლეულებს, მის აწმყოსა და მერმისს. ამ ჟამს განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოჩნდა დროთა ჯაჭვირი, თაობათა მონაცვლეობა, და ცხადად წარმოგვიდგა თვალწინ საყვარელი ეერსახე ჩვენი დიდაქალაქისა, მზსი ხასიათი, ისე ეხადად, თითქოს მის გმირებს — მშენებლებსა და დამცველებს ეხედავდეთ.

იღებენ რა ამ ჯილდოს, კეთილი სიტყვისა და ყურადღების მადლიერი თბილისელები სიხარულით უთვლიან მადლობას უწინარეს ყოვლისა იმ ადამიანს, რომელიც 1981 წლის დაუვიწყარ მაისში მთ თბილისს საპატიო მოქალაქედ შერაცხეს, ჩვენი ეპოქის გამორჩენილ მოქალაქეს — ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, რომლის ყურადღება და მზრუნველობა სამეოროთა საქართველოსა და მისი დიდაქალაქისათვის ყოველ ჩვენგან მოგვლინა ძალუმ სტიმულად, პროგრესის ზნეობრივ-სულიერ საფუძვლად. **(ტაში).**

იმ დღეებში თბილისი, მთელი ჩვენი რესპუბლიკა ზეიმით აღნიშნავდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავს. გაგვახსენდა, როგორ აფრიხეს 1921 წლის თებერვალში მოსკოვში, კრემლში დეკრეტი: „თბილისის თაურ საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალეს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“.

და დღეს, 60 წლის შემდეგ, თბილისის ნეტარების ჟამს, მთელი ჩვენი აზრებითა და გრძნობებით, როგორც ყოველთვის, ახლაც ვესწრაფვით მოსკოვს, ჩვენი ლენინური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

და დღეს ჩვენ ვამბობთ: თბილისის, მთელი საქართველოს კომუნისტები, რესპუბლიკის ყველა მშრომელი, ისევე როგორც მთელი ჩვენი პარტია, როგორც მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად, მთელი სულითა და გულით უპირველ მხარს ეჭიმავენ ს. ტ ა ტ ი ს, ლენინური ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის, ლენინური ერთიანობისა, ერთგულ ლენინელ, კომუნისტური მშენებლობის დიდი ორგანიზატორის ლეონიდ ილიას ძის პოლიტიკას—ჭის სანინათ და საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია განამტკიცოს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკური ძლიერება, ამრავლოს მაცხოვრებლების ძალა, განგაძოს წმიდათაწმიდა მრძოლა ქვეყნად მშვიდობის განსამტკიცებლად, მშვიდობიანი ცის ქვეშ მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველსაყოფად, ხალხია მშვიდობიანი შრომისა და უშიშროების დასამკვიდრებლად! **(ტაში).**

ამ ორი დღის წინათ მოსკოვში გამართული სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელი შემადგენლობის თათბირი, რომელზეც ღრმაშინაარსიანი და პრინციპული სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, გადაიქცა მკაფიო, შთამბეჭდავ დემონსტრაციად, რომელმაც ნათელყო ეკონომიკური და სოციალური პროგრესი ჩვენი სამშობლოსი, თავისი ძლიერების აყვავების ხანაში რომ ეგებება სსრ კავშირის 60 წლისთავს. ამასთანავე ამ შეხვედრამ ცხადყო, ყველაზე თანამედროვე იარაღითა და საბრძოლო ტექნიკით აღჭურვილი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო მზადყოფნა. ამავე დროს მან კვლავ დამაჯერებლად დაადასტურა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განუხრელად და თანამიდევრულად შეასრულოს ხრიცი მშვიდობისათვის ბრძოლის ერეელ პროგრამას, რომელმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

ამ შეხვედრის დროს ლეონიდ ილიას ძემ თქვა: „საერთაშორისო ვითარება გვავალებს გავაორკეცოთ, გავისამეცოთ ჩვენი ძალისხმევა მშვიდობის დასამკვიდრებლად, იმ საფრთხის აღსაკვეთად ბრძოლაში, რომელსაც ბირთვული ომი უქადის კაცობრიობას“.

ჩვენ ვიცით, ჩვენ ვგრძნობთ, რომ ამ წუთებშიც ლეონიდ ილიას ძე ფიქრებით ჩვენთან არის. ყველას ღრმად ჩაგვწვდა გულში მისი თბილი, წრფელი მოლოცვა და კეთილი სურვილები, მოსკოვიდან რომ დაბარა თბილისში მომავალ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს.

დღეს აქ ბევრი თბილი, გულითადი სიტყვა ითქვა ჩვენი ძვირფასი სუტყვის, დიდად პატივცემული კონსტანტინე უსტინის ძის მისამართით. განსაკუთრებული ძალთ გისმა ეს სიტყვები თენგიზ ნიკოლოზის ძე მენთეშაშვილის გამოსვლაში, რომელმაც, ჩაიბარა რა ლენინის ორდენი, ყველა თბილისელის სახელით გამოთქვა წრფელი გრძნობები. ამავე გრძნობებით იყო გაჟღენთილი ყველა ამხანაგის გამოსვლაც ჩვენს საზეიმო სხდომაზე.

ზემონათქვამს მინდა დავძინო: კაცი, რომელიც ქალაქის დროშას სამშობლოს მაღალ ჯილდოს აპნევს, განსაკუთრებით ძვირფასი, განსაკუთრებით ახლობელია ამ ქალაქისათვის, იგი ქალაქში ყველაზე პატივსაცემი ადამიანი ხდება. სწორედ ამაზე მეტყველებს ჩვენი ქალაქის საპატიო მოქალაქის წარჩინების ნიშნები, რომლებიც დ ღ ე ს გადმოგეცათ თქვენ. ასე რომ, დღეიდან თბილისი თქვენ, ძვირფასო კონსტანტინე უსტინის ძეო, ჭეშმარიტ ჩვიდრ თბილისელად გრაცხთ. და არა მარტო თბილისი, არამედ მთელი საქართველოც, ყველა რაიონი, ყველა ქალაქი, ყველა ჩვენი სოფელი! **(ზანგრძელი ტაში).**

ყველას გულის სიღრმემდე ჩაგვწვდა თქვენი დღეკანდელი სიტყვა — სინაღვარსა, ღრმაშინაარსიანი, რომელშიც სითბო და გულითადობა, ყურადღებიანი, ზზრუნველი დამოკიდებულება ადამიანების მიმართ, პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებასა და საქმიანობაში ყოველივე კარგის, ყოველივე პოზიტიურის შეჩნევისა და ღირსეულად დფასების უნარი ჭეშმარიტად, როგორ დაანათოთ თავისი ნიშან-თვისებები ამ მოკლეთა ხასიათებსა და საქმეებს, მთელ მათს ცხოვრებას. ამ ბუნებით ინტერნაციონალისტმა რევოლუციონერებმა ყველა ქვეყნის პროლეტართა გაერთიანებისათვის ბრძოლას შემატეს მათი ქალაქისათვის ჩვენი თანდაყოლილი ლტოლვა ძმობისადმი, რომელიც ეფუძნება აზრთა და მსოფლიოგანთმშენებლობის სტრუქტურაში წარმოდგენილია ამ ინდივიდის ყველა პროგრესული ფარგი. ბარეულ საბჭოთა წლებში ერთი ახალი სახელი, რომელსაც ამაყად უწოდეს სპეციალისტების სახელი. საკმარისი გამოდგა ამისათვის, რომ თავის ქერქვეშ დაებინავებინა ქალაქის ლამის ყველა ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი. ახლა თბილისში მთელი უბნები, დასახლებები და რაიონებიც კი შედგება ყველაზე მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებით დასახლებული შენობებისაგან.

ჩვენს ეპოქაში ქალაქი ხალხთა სულიერი, ინტელექტუალური ენერგიის შენადნობია, სწორედ ქალაქშია კონცენტრირებული მათი მხატვრული განძეულობანი, კულტურული მიღწევები და მეცნიერული აზროვნების უმაღლესი გამოვლინებანი. ამ მხრივ თბილისი ვამონაკლისი არ არის. მაგრამ მას წილად ხვდა ბედნიერება განეკეთებინა ნა ზემონახა არა მარტო ქართველი ხალხის კულტურა. ბედნიერია თბილისი, რამეთუ მისი ცის ქვეშ ცხოვრობენენ და იღვწოდნენ მრავალი მომძე ხალხისა და კულტურის გენიოსები. ჩვენ, თანამედროვე თბილისის მკვიდრნი და მოქალაქენი — ვამაყობთ ამ თავისებურებით, თვალსაჩინოთ ეუფრთხილდებით ჩვენი ძმების კულტურულ და მხატვრულ მემკვიდრეობას, ყოველნაირად ვცდილობთ ცხოვრების თანამედროვე შემოქმედებით ათვისების ორბიტაში მოვაქციოთ იგი.

თბილისის მრავალსაუკუნოვან კულტურას, მის ფოლკლორს, ქალაქური ცხოვრების განსაკუთრებულ ზნეობრივ კოდექსს, ყოფიერების ნორმებსა და წესებს სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ქმნიდნენ. თანამედროვე მრავალეროვანმა თბილისმა ნოვატორულად აღიქვა ეს ტრადიცია და წარმართა იგი, უწინარეს ყოვლისა, თავისი საწარმოო, სამეცნიერო საქმეების და საზრუნვის კალაპოტით — უბნებზე, სადაც დღეს იგი ყველაზე მეტ წარმატებას აღწევს.

თბილისისათვის გადმოცემული ლენინის ორდენი — ეს არის ჯილდო ქალაქის მუშათა და მშენებელთა ყველა თაობისა, მისი იდეოლოგიური თაყვანცემისა, მისი ფსიქოლოგიური ფენომენი, ყველა ეს ერთად ... ეს ... ეს ... ეს

ტვირთზიდვა ცენტრალიზებულია

ჩვენი რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოთა კოლექტივებმა მეთერთმეტე ხუთწლეული კარგად დაიწყეს. მეათე ხუთწლეულ-ში მოპოვებულმა წარმატებებმა, ამ პერიოდში მომზადებულმა საქმიან ძლიერმა მატერიალურ-ტექნიკურმა ბაზამ დიდი ნაყოფი გამოიღო. მიმდინარე წელს მუშაობის ტემპმა კიდევ უფრო იმატა. ამას ხელი შეუწყო სსრ კანშირის შექმნის 60 წლისთავისა და დიდი ოქტომბრის რევოლუციის 65 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაწეულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ.

თითქმის ყველა ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტი უსწრებს საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს. საგრძნობლად გაიზარდა საავტომობილო პარკის გამოყენების კოეფიციენტი. ხუთწლედის დამდეგიდან დღემდე გეგმის გადამტებით გადაზიდულია 2,6 მილიონი ტონა ტვირთი და გადაყვანილია 8,2 მილიონი მგზავრი. აღსანიშნავია რომ ყველაფერი ეს ძირითადად, მიღწეულია ზრომის ნაყოფიერების გაღიდების, მოძრაკი შემადგენლობის ეფექტიანი გამოყენების, ტრანსპორტის კონცენტრაციის, ცენტრალიზაციისა და სპეციალიზაციის გზით.

სამმისადგი შემომქმედებითმა მიდგომამ საშუალება მისცა ამ დარგის მრავალ კოლექტივს იმუშაოს უჩამორჩენელებოდ, სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმოები თავდადებით იბრძვიან უქმი გარბენების მკვეთრი შემცირებისათვის, ცენტრალიზებული ტვირთზიდვის ტექნოლოგიის სრულყოფისათვის, მისაბმელებით გადასაზიდი ტვირთის მოცულობის ზრდისათვის, საქალაქთაშორისო ტვირთზიდვის შედგომი განვითარებისათვის, მეკიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების დანერგვისათვის, აგროსამრეწველო გაერთიანებებთან ურთიერთკავშირის უფუო გამმტკიცებისათვის.

კარგად არის ორგანიზებული ავტოტრანსპორტელთა მუშაობა მოსავლის აღების პროცესში. სამედიცინო დამკვიდრდა ტექნოლოგიური ცაკლი: პლანტაცია— ავტოტრანსპორტი — ჩაის ფაბრიკა; ვენახი — ავტოტრანსპორტი — ქარხანა. ეს სამუშაოები ხორციელდება ბრიგადული მეთოდით და საკმაოდ შედეგიანადაც. შესანიშნავად ორიმეკენ თავს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადაზიდვის ოჩამჩირის, ლანჩხუთის, მახარაძის, წყალტუბოს, გურჯაანის და მარნეულის სატვირთო ავტოსატრანსპორტო და სხვა ავტოსატრანსპორტო საწარმოთა კოლექტივები.

სასიამოვნოა, რომ საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის საერთო მოცულობაში საგრძნობლად გაიზარდა ცენტრალიზებული გადაზიდვის ხვედრითი წილი. იგი ახლა 83 პროცენტს შეადგენს. სატვირთო ავტომობილების მწარმოებლობის ამაღლების დიდი რეზერვია მისაბმელების უფრო ფართო გამოყენება. მთელი რიგი საორგანიზაციო და ტექნიკური ღონისძიებების განხორციელების შედეგად მეთერთმეტე ხუთწლედში მისაბმელებით ტვირთზიდვა გაორკეცდება, გაიზრდება ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენება, დიდი ყურადღება დაეთმობა საწვავისა და სხვა ტვირთიანი რესურსების მოჭიხრნედ ხარჯვას, ტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მძღოლთა კვალიფიკაციის ამაღლებას და სხვა.

შეუნელებელი ყურადღების ცენტრში სამგზავრო-ავტოტრანსპორტის განვითარების საკითხი. დღეისათვის რესპუბლიკის გზებზე ყოველდღიურად გამოდის 4,5 ათასი ავტობუსი, არსებული საავტომობილო გზების ნახევარი მაღალთიანი რაიონების წილად მოდის.

საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ქვეყნის მთლიანსაკეთ დარგის მორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. ეს სწორია, მაგრამ მართალია ისიც, რომ ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის გაუმჯობესებისათვის მან ჯერ კიდევ ძალიან ბევრი ამოცანა უნდა გადაწყვიტოს. რესპუბლიკის ავტოტრანსპორტელ ე ბ ი პირობას დებენ, რომ ყველაფერს იღონებენ კომუნისტური პარტიის მიზანდასახულებათა უთუო და ვადამდე განხორციელებისათვის.

შ. ამაშუკელი.

ახალი შევსება

უმაღლეს სასწავლებლებში ქარხნების, შაბრიკების, კოლმეურნეობების საგზურებით...

კვლავ ახალ შევსებას იღებენ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები. დიაწყო წარმოებას მოუწყვეტლივ მოსამზადებელ განყოფილებებზე მისაღებ ამბიტურიენტთა დოკუმენტების მიღება. წელს ამ განყოფილებებზე ჩაირიცხება 1.400-ზე მეტი კაცი.

— მოსამზადებელ განყოფილებებზე იღებენ საშუალო განათლების მქონე მოწინავე მუშებს, კოლმეურნეებსა და სათადარიგოდ დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეებს, რომელთა ასაკი არ აღემატება 34 წელს, — უთხრა სანინფორმაციო კორესპონდენტს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრთა მოადგილემ გ. მაკაცარიამ. — მათ სასწავლებლად გზავნიან სამრეწველო საწარმოები, მშენებლობები, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ორგანიზაციები, გიოლოგიურ-სადაზვერო და ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური პარტიები, ტანსაცმლისა მეურნეობები, კოლმეურნეობები, სამმმხმარეული კოოპერაცია, სოფლის მეურნეობის სამეურნეოთა-ფიზიოსა საწარმოები და საწარმოო გაერთიანებანი, აგრეთვე სამხედრო ნაწილების სარდლობა.

პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებთან არსებულ მოსამზადებელ განყოფილებებზე პირველად მიიღებენ ქალაქისა და სოფლის სასკოლოებს უფროს პიონერხელმძღვანელებს, რომლებმაც ამ თანამდებობაზე სულ ცოტა ორი წელი იმუშავეს.

მომდინარე წლიდან საბუღალტერო აღრიცხვისა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზის სპეციალობებით მოსამზადებელ განყოფილებებზე მიღება იწარმოებს გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც ამზადებს ეკონომიკური პროფილის სპეციალისტებს.

ისევე როგორც წინა წლებში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტებში, თბილისის სამედიცინო და ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტებში დღის მოსამზადებელ განყოფილებებზე ჩაირიცხებიან ახალგაზრდები, რომლებიც მუშაობენ სასოფლო რაიონებში, აგრეთვე ქალაქების გაგრის, ტყვარჩელის, ტყიბულის, წყალტუბოსა და ჭიათურის ზონებში.

როგორც ცნობილია, მოსამზადებელ განყოფილებებზე ჩაირიცხება მოწინავე მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობა, რომელსაც სულ ცოტა ორი წლის მუშაობის სტაჟი აქვს. მაგრამ ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის სპეციალობებზე ჩაირიცხებიან პრაქტიკული მუშაობის ერთი წლის სტაჟის მქონე აბიტურიენტები, რომლებიც შრომობენ რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მსგავლ საწარმოთა მშენებლობებზე, უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დამთავრების შემდეგ ისინი სამუშაოდ ამ საწარმოებში გაიგზავნებიან.

გამომგზავნ საწარმოში მუშაობის ერთი წელი ეწყვეტა სტაჟი საკმარისია იმათთვისაც, ვინც აბარებს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიისა და ქიმიის ფაკულტეტების მოსამზადებელ განყოფილებებზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ზოგიერთ სპეციალობაზე.

დიდი ყურადღება ეთმობა სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციური სპეციალისტების კადრების დაგეგმვის, მომზადებისა და განაწილების სისტემის სრულყოფას მოსამზადებელ განყოფილებებზე მეშვეობით რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და უმაღლესი სასწავლებლების გრძელვადიან ხელშეკრულებათა საფუძველზე. ეს გამოგლინდა მიმდინარე წლის მისაღები კამპანიის დროსაც. მაგალითად, საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ და რესპუბლიკის სამინისტროთა სამინისტრომ ხელი მოაწერეს 1990 წლამდე პერიოდისათვის გათვალისწინებულ ხელშეკრულებას რესპუბლიკის ინსტიტუტებისათვის პედაგოგიური კადრების მომზადების შესახებ, რომლებიც მასწავლებელი-ებს განათლებას სამინისტროს ხელი მოაწერეს 1990 წლამდე პერიოდისათვის გათვალისწინებულ ხელშეკრულებას. ეს ნიშნავს, რომ ზ ზრომ ირეკეოდა წესები, ზრომთა კოლეტივების კრებებზე არ განიხილებოდა კანდიდატურები, იყო ფორმალიზმის, პროტექციონიზმისა და სუბიექტივიზმის ფაქტები. ბაკალეთად, გურჯაანის, კასპის, ხაშურის, ქალაქ თბილისის პირველი მაისის, მთელი რიგი სხვა საკალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ უფიქრიან კონტროლს, რამდენად სწორი იყო მოსამზადებელი განყოფილების მსმენელად კანდიდატის გაგზავნის შესახებ კოლეტივის საერთო კრების გადაწყვეტილება, ყოველთვის გულდასმით არ ამოწმებდა ეს წარმოდგენილ დოკუმენტებს. ამის შედეგად სასწავლებლად ზოგჯერ იგზავნებოდნენ პირები, რომლებიც არ ყოფილან ზრომის მოწინავენი, არ ჰქონიათ მუშაობის შესაბამისი სტაჟი, არ მიუღიათ აქტიური მონაწილეობა თავიანთი კოლექტივის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

და კიდევ: დაბალია საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლებლად გამოგზავნილი სტუდენტიანტების ხვედრითი წილი. გარდა ამისა, მოსამზადებელ განყოფილების მსმენელისათვის სტიპენდიის მიცემის ვალდებულებას, კი კისრულობენ, მაგრამ შემდგომში ზოგჯერ უარს ამბობენ მის შესრულებაზე. ასე მოიქცნენ, მაგალითად, საჩხერის რაიონის სოფელ სარეკის კოლმეურნეობის გამგეობა, ქუთაისის ბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელობა და სხვ.

უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობამ, პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, — თქვა დასასრულ გ. მაკაცარიამ, — მთელი ძალ-ღონე უნდა მოახმარონ იმას, რომ მოსამზადებელ განყოფილებებზე სწავლების რუმ თვის მაქნალნი მოწინავე მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობამ, დემობილიზებულმა მეომრებმა მიიღონ საჭირო ცოდნა და შეიძლონ რესპუბლიკის სტუდენტობის სახელოვან ოჯახს.

მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი

სამშაბათ ლიტერატურებისათვის ან არსებობის იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე საბჭოთა ცხოვრების წესის, კოლუნისტური ზნეობის ნორმების დამკვიდრება. ეს თქვა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე, რომელიც 27 ოქტომბერს ვიისსა მოსკოვში. პლენუმი ეძღვნება მწერალთა ორგანიზაციებისა და ლიტერატურული ბუმერიანი საქმეების მოცანებს „სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკასთან ლიტერატურულ-მხატვრული ტურნლების შემოქმედებითი კავშირის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივნის გ. ვ. მარკოვის მოხსენებაში, კამათის მონაწილეთა გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ დადგენილება შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობის ხანგრძლივი პროგრამა გახდა.

ლიტერატორთა გამოსვლებში დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს მწერალთა ფედერაციის-შემოქმედებითი კავშირის „ბუნებრივ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ფუნქციებად ალიარებას. ეს ნათქვამია მოხსენებაში, რომელიც აქ გაავრცელა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ეკონომიკურმა და სოციალურმა კომიტეტმა. სავაჭრო პოლიტიკის ბანაკორიელებში, ნათქვამია დოკუმენტში, ვაშინგტონი პროტექციონიზმსა და ეგმპანსიონიზმს მიმართავს.

„საკვერო ომებს“ შეერთებული შტატები დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან სხვადასხვა დარგებში ეწევა. ამ „ომების“ საბაბი, აღნიშნავს კომიტეტი, გახდა კერძოდ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მეტალურგიული ინდუსტრიის პროდუქციის, ავტომობილების ამპორტი. დასავლეთ ევროპის ქვეყნებს სერიოზული სირთულეებს უქმნის ვაშინგტონის სავალუტო-საფინანსო პოლიტიკა. ამერიკის შეერთებულ შტატებში შემოღებული ხელოვნურად გადიდებული საბაჟო დისკონტის განაკვეთი იწვევენ კაპიტალის გადინებას ოკეანის გაიმა.

დიამეტრულად საპირისპირო პოზიციებს დაადგნენ ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპის ეკონომიკური გაერთიანება ციმბირ-დასავლეთ ევროპის გაზსადენის მშენებლობის საკითხში, ნათქვამია დოკუმენტში. ვაშინგტონის ზეწოლქმედების მიუხედავად, დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა საბჭოთა კავშირს დაუდეს მთელი რიგი მასშტაბური სავაჭრო-ეკონომიკური კონტრაქტები „რეიგანის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება გაავრცელოს რეპრესიული ღონისძიებანი დასავლეთ ევროპის ფირმებზე, ნათქვამია მოხსენებაში, — შეიფფასეს როგორც შეერთებული შტატების მისწრაფება თავს მოახვიოს თავისი კანონები დასავლეთ ევროპას.

დოკუმენტში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ამერიკის ახლანდელი ადმინისტრაციის ეკონომიკური კურსმა თვით შეერთებულ შტატები ორმა, ხანგრძლივ კრიზისში გაგზავნა. საწარმოო სიმძლავრეებს ქვეყანაში მხოლოდ 76 პროცენტით იყენებენ.

30 ოქტომბერი

საქართველოს დილაობრივი ზურგზე ცხოვრება

სპეციალური კორესპონდენტები გვაცნობებენ

ფაქტები მოვლენები

ვენის მოლაპარაკებაზე

ვენიდან აფორეზებს რეალურ პროგრამას

ვენა. ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ერთობლივი შემცირების შესახებ ვენის მოლაპარაკების ალენარულ სხდომაზე გამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელი ვ. ბოსი, რომელმაც დამახასიათებელად წარმოადგინა სოციალისტური ქვეყნების პოზიცია და ცდილობდა მოლაპარაკების გაჭიანურებისათვის პასუხისმგებლობა მათთვის დაეკისრებინა.

სპასუხო გამოსვლაში საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ვ. ვ. მიხაილოვმა აღნიშნა, რომ როგორც ყოველი მიუკერძოებელი მეთვალყურე ხედავს, ვენაში რეალური პროგრესისის უქონლობის ძირითადი მიზეზია დასავლეთის პოზიცია, რომელსაც არ სურს მივალწიოთ მხარეთა ნამდვილი უშიშროების პრინციპზე დამყარებულ სამართლიან შეთანხმებას. მოლაპარაკების ყველა ეტაპზე ნატოს ქვეყნები ცდილობდნენ მიეღწიოთ ისეთი გადაწყვეტილებებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მათთვის ცალმხრივ სამხედრო უპირატესობებს სოციალისტური სახელმწიფოების უშიშროების ინტერესების საზიანოდ.

დასავლეთ გერმანიის წარმომადგენელი ერცლად ლაპარაკობდა ხელშეკრულების დასავლეთის პროექტები „ღირსებებზე“, თქვა სსრ კავშირის დელეგატმა, მაგრამ, რა ღირსებებზე შეიძლება ვილაპარაკოთ, თუ პროექტში უგულებელყოფილია შეიარაღების შემცირების საკითხი, გათვალისწინებულია სოციალისტური ქვეყნებისათვის შემცირების აძკარად უთანასწორო წესი, თუ შენარჩუნებულია ხელოვნურად შექმნილი ეიფორბრიი პრობლემა. მოლაპარაკების დროს გამართულ ეფფორმრივი მონაცემების გაცვლა ასაბავს ჯარების რიცხოვრივ სურათს შემცირების ოფიციალურ ინფორმაციებზე. ეს ნიშნავს,

თბილისობაზე

ო. თურქიას, ს. ედიშერაშვილის, ა. რუხაძისა და ჯ. ლომჯარიის ფოტო.

საქართველო-შთამონების წყარო

რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი განსაკუთრებულ ყურადღებას იძენს თანამედროდან ეტაპზე, როცა ვემზადებით ორი ღირსშესანიშნავი თარიღის — საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავის და გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად. ორი მოძმე ერის კულტურული თანამშრომლობის ისტორიის განვითარებაში ერთ-ერთი საყურადღებო ადგილი უკავია ცნობილი საბჭოთა პროზაიკოსის კონსტანტინე პაუსტოვსკის შემოქმედებას.

რუსთაველისა და ფირუმანის ქვეყანაში მწერალი პირველად 1922 წელს ჩამოვიდა. იგი უცნობოდა შავიზღვისპირეთის ცხოვრებას. 1923 წელს ეწვია თბილისს, ხოლო 1934 წელს რამდენიმე თვე გაატარა ფოთში, სადაც კოლხეთის დაბლობის ამოშრობის სამუშაოებს ეცნობოდა.

ბუნებრივია, რომ საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებანი ასახა მწერლის შემოქმედებაში, მოთხრობაში „მოელვარე ღრუბლები“, „ნატალი სამხრეთისაკენ“, ნოველებში „კაპიტან ხაგერის პატაკი“, „ეტიკეტები კოლონიური საქონლისათვის“. პაუსტოვსკი აღწერს ეპოხოდებს ამ პერიოდის ადგილობრივი ცხოვრებიდან, როცა საბჭოთა ხელისუფლება აქ თავის პირველ ნაბიჯებს დგამდა, როცა ირღვეოდა ძველი, დრომოჭმული ყოფა და ახალი ცხოვრება მტკიცედ დაიბიჯებდა განახლებულ მიწაზე. შემოქმედის ხილვის არე თანდათანობით ფართოვდება.

იგი აღიბეჭდავს შავიზღვისპირეთის ქალაქების არა მარტო ეგზოტიკურ სილამაზეს, არამედ რეალისტურად გადმოსცემს ქვეყნის მძაფრ შინაგან მაჯისცემას, გვიჩვენებს დიდი ოქტომბრის შუქით გაცისკროვნებული ახალი ტრადიციებისა და ჩვეულებების აღმოცენებას.

სიყვარულითა და სითბოთია გაჟღენთილი პაუსტოვსკისეული თბილისის აღწერა. მწერალი გვიხატავს ქალაქის კოლორიტულ სახეს, მოგვითხრობს მის მკვიდრთა დამახასიათებელ თვისებებზე, ყოფასა და ზნე-ჩვეულებებზე. პაუსტოვსკი ავტორად მონაწილეობს ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში, თბილისში იგი ხვდებოდა ტიციან ტაბიძეს, ნიკოლოზ შეხვედიას, ლადო გუდიაშვილს, კირილე ზდანევიჩს და შემოქმედებითი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებს. თბილისში გაეცნო პაუსტოვსკი ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებას, რომელმაც სამუდამოდ დაატყვევა მწერალი. შემთხვევითი როდია, რომ ამ შემოქმედის სახე გაეცოცხლებულია მოთხრობა „კოლხიდაში“ ბეჩოს სახით. შესანიშნავი ფურცლები უძღვნა პაუსტოვსკიმ ქართველ თვითმყოფად მხატვარს ნაწარმოებებში „ნატალი სამხრეთისაკენ“ და „წეგნი მხატვრებზე“.

სოციალისტური მშენებლობის თემა ფართოდ ასახა მოთხრობა „კოლხიდაში“, რომელშიც მწერალმა გადმოსცა თავისი უშეალო შთაბეჭდილებები. მან საკუთარი თვალით დაინახა მშრომელთ-ენთუზიასტთა უანგარო, სიყვარულებით აღსავსე შრომა. გარდაქმნილნენ რა დაჯობებული კოლხეთის მიწას, ისინი უშიშრად ებრძოდნენ მკაცრ სტიქიას. მწერალმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სამუშაოს ხალხის ულოვეი მეგობრობა იყო ბუნების დაპყობის ერთ-ერთი მძლავრი საქმეები და შრომითი გამარჯვების საწინდარი.

პაუსტოვსკის შემოქმედებაში ნაჩვენებია აგრეთვე საქართველოს, როგორც პოეტური პარნასის მნიშვნელობა რუსი მწერლების — პუშკინის, გრიბოედოვის, ლერმონტოვის, ოდოევსკის, ბესტუჟევ-მარლინსკის შემოქმედებისათვის (მოთხრობები „მოელვარე ღრუბლები“, „ნატალი სამხრეთისაკენ“, „ოქროს ეარდი“, პიესა „პორუჩიკი ლერმონტოვი“).

კ. პაუსტოვსკიმ თავის შემოქმედებაში არა მარტო ქართული სინამდვილე ასახა, არამედ იგი აქტიურად მოღვაწეობდა საქართველოს პრესაში — ბათუმის გაზეთებში „მაიაკსა“ და „ტრუდოვია ბატუმშო“ და თბილისის „გუდოკ ზაკავკაზიაში“. როგორც „მაიაკის“ რედაქტორმა, მწერალმა ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ ამ ბეჭდვითს ორგანოს ფართოდ გაეშუქებინა ბათუმის ნავსადგურის ცხოვრება.

აღნიშნულ გაზეთებში დაიბეჭდა თვით პაუსტოვსკის რამდენიმე წერილი და მხატვრული ნარკვევი. ეს ნაწარმოებები შიდგომ, გადამუშავებული სახით, შეეყოდა მწერლის თხზულებებში.

პაუსტოვსკის შემოქმედება ყანრობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველმა მწერლებმა და მთარგმნელებმა დიდი აუორადება გამოიჩინეს მწერლის ნებისმიერი ნაწარმოებისადმი. მისი მოთხრობა „ანუშა“ ჯერ კიდევ 1947 წელს თარგმნა. ამის შემდეგ პაუსტოვსკის ნაწარმოებები ინტენსიურად ითარგმნა ქართულ ენაზე. ქართველ აკადემიკოსებმა ალ. ბარამიძემ, ალ. ჯაფარიძემ, ალ. ცინცაძემ, ალ. ბარამიძემ, ალ. ბარამიძემ, ალ. ბარამი